

შ.პ.ს. „ლიტოფონი 2012“

ს/კ-412685786

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

.2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე შპს-ს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ.....	2
. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება.....	4
. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
. კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7-10
4. ძირითადი საშუალებები.....	11
5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	11
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	11
7. ნეტო ამონაგები.....	12
8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	12
9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	12
10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	12

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ლიტოფონი 2012“-ის 2023 წლის ფინანსურ მდგომარეობას, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას, დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

შპს „ლიტოფონი 2012“

ს/კ 412685786

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	894815	483344	538047
სავაჭრო მოთხოვნები	31842	19134	17735
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	572	110241	198
მარაგები	577864	439102	538008
- მზა პროდუქცია	118273	120085	121064
- სხვა	459591	319017	416944
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდივილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	144	191	239
ძირითადი საშუალებები	675959	889169	913415
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	2181196	1941181	2007642

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	1353	2146	2906
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11681	10592	11307
საგადასახადო ვალდებულებები	0	5439	22006
გამოუმუშავებელი შემოსავალი	226	224	2578
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	200	146	149
სულ ვალდებულებები	13460	18547	38946

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	566813	566813	566813
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	764329	243476	288505
გადაფასების რეზერვი	513783	789534	790567
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	322811	322811	322811
სულ საკუთარი კაპიტალი	2167736	1922634	1968696
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2181196	1941181	2007642

ფორმა N2- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2023	2022
ნეტო ამონაგები	775237	557153
საქონლის გაყიდვიდან	744682	522711
მომსახურების გაწევიდან	30555	34442
სხვა		

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-325942	-228816
საწყისი მარაგები	439102	538008
მარაგების შესყიდვა	464704	129910
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	577864	439102
საერთო მოგება	449295	328337

დასაქმებულთა ანაზღაურება	-188563	-169377
ცვეთა და ამორტიზაცია	-28535	-27964
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-48855	-43808
სულ საოპერაციო ხარჯები	-265953	-241149

საოპერაციო მოგება	183342	87188
--------------------------	--------	-------

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		

საპროცენტო შემოსავალი:	15440	9417
საპროცენტო ხარჯი :		
საკუროს სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	1742	-42763
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება/ზარალი	1404814	1238
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	19330	4740
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1624668	59820
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	1624668	59820

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	1624668	59820

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1922634	1968696
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1379566	-105882
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	275752	1033
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-275752	-1033
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2167736	1922634

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	394289	-21357
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	15440	9417
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	409729	-11940
სავალუტო კურსის ეფექტი	1742	-42763
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	483344	538047
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	894815	483344

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნები	დამფუძნებლის ს შენატანი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	მოხმარების და დაგროვების ფონდი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
01.01.2022 წაშთი		566813	790567	322811	288505	1968696
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება						0
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება			-1033			-1033
გაუნაწილებელი მოგება-ზარალის ზრდა/შემცირება					-104849	-104849
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი					59820	59820
31.12.2022 წაშთი		566813	789534	322811	243476	1922634
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება						0
გადაფასების რეზერვის ზრდა/შემცირება			-275751			-275751
გაუნაწილებელი მოგება-ზარალის ზრდა/შემცირება					-1103815	-1103815
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი					1624668	1624668
31.12.2023 წაშთი		566813	513783	322811	764329	2167736

შპს „ლიტოფონი 2012“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლიტოფონი 2012“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2012 წლის 7 აგვისტოს, რეორგანიზაციის შედეგად, გამოეყო „სს ქუთაისის ლიტოფონის ქარხანას“. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 412685786. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი, წერეთლის ქუჩის № 192.

საზოგადოებას შვილობილი კომპანია არ გააჩნია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა ალკიდური გრუნტების, ალკიდური ემალისა და წყალ-დისპერსიული საღებავების დამზადება და რეალიზაცია.

მზა პროდუქციის რეალიზაციის გარდა, კომპანიას უმნიშვნელო შემოსავლები აქვს ძირითადი საშუალებების იჯარიდან და სხვადასხვა მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციიდან, ასევე ფიქსირდება შემოსავლები თავისუფალი სახსრების საბანკო ანგარიშზე განთავსებიდან.

კომპანიის მეწილეები: 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში კომპანიის მეწილეები არ შეცვლილა:

50%-ს ფლობს კონსტანტინე მანჯგალაძე პ/ნ - 60001006593.

50%-ს ფლობს თეიმურაზ მანჯგალაძე პ/ნ - 60002009932.

კომპანიის დირექტორია ვალერი მანჯგალაძე პ/ნ - 60002000010.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ციფრული ფორმების შევსების ერთეულია ლარი. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 . ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისაგან და რეზიდენტ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე განთავსებული ფულის ნაშთისაგან.

3.2. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“-ის გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753

3.3.შემოსავლების აღიარება

ჩვენს მიერ შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მყიდველზე საქონლის მიწოდებისთანავე, ანუ მასზე საკუთრების უფლების გადაცემისთანავე.

მომსახურების გაწევიდან და იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების (იჯარის) ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

3.4. ხარჯების აღიარება

იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, მისი აღიარება ხდება ხარჯად სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

3.5. იჯარა

ჩვენს შემთხვევაში, იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ მიაწოდა საქონელი ან გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება.

3.7. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.8. მიღებული ავანსები

კომპანიის ბალანსზე რიცხული მიღებული ავანსები წარმოადგენილია „გამოუმუშავებელი შემოსავლების“, მუხლში.

3.9. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი არის ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის დაწყება ხდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ჯგუფი	წლიური ამორტიზაციის ნორმა
შენობა-ნაგებობები	20-30 წელი
მანქანა-დანადგარები	3-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და ინვენტარი	1-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-8 წელი

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში (თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას).

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. კომპანია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების გადახედვას ახდენს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

3.10. არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით.

3.11. მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.12. გადასახადები

. მოგების გადასახადი

2017 წლიდან საგადასახადო კოდექსში ცვლილების შესაბამისად, ჩვენი კომპანია, მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნებისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

. დამატებული ღირებულების გადასახადი

იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი, ხარჯები და აქტივები მიეკუთვნება დღ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, მათი აღიარება ხდება დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი აღიარება ხდება სრული ღირებულებით.

. საშემოსავლო გადასახადი

კომპანია იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%.

. საპენსიო შენატანები

2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.13. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით. კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით, საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ისე, რომ შეძლოს დამფუძნებლებისთვის მოგების მიცემა.

გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი მოიცავს ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებულ მოგება/ზარალს.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუდგმელი მოწყობილობა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	საოფისე ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
თვითღირებულება								
1 იანვარი 2023 წელი	567692	512	373421	47787	9375	36960	759	1036506
შემოსვლა			37698			61434		99132
გასვლა	152227	512	167130	2132	1706	35214		358921
31 დეკემბერი 2023 წელი	415465	0	243989	45655	7669	63180	759	776717
დაგროვებითი ცვეთა								0
1 იანვარი 2023 წელი	0	512	83933	20539	7904	33690	568	147146
წლიური ცვეთა		-512	-17862	3179	-1928	-29456	47	-46532
31 დეკემბერი 2023 წელი	0	0	66071	23718	5976	4234	615	100614
საბალანსო ღირებულება								0
31 დეკემბერი 2023 წელი	415465	0	177918	21937	1693	58946	144	676103

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ნაშთი წლის ბოლოს	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული სალაროში	217	229
ფულადი სახსრები ბანკში	894598	483116
სულ ფულადი სახსრები	894815	483344

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
სულ ჯამი		439102
საქონელი	6536	8274
ნედლეული და მასალები	404387	252436
დაუმთავრებელი წარმოება	0	0
მზა პროდუქცია	118273	120085
სხვა	48668	58307

7. ნეტო ამონაგები

	31.12.2023	31.12.2022
სულ ჯამი	775237	557153
საქონლის გაყიდვიდან	744682	522711
მომსახურების გაწევიდან	30555	34442

8. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	31.12.2023	31.12.2022
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	325942	228816

9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31.12.2023
ჯამი	48855
ტრანსპორტირების ხარჯი	6615
საწვავის ხარჯი	3095
კომუნიკაციის ხარჯი	1626
დასუფთავების ხარჯი	261
სხვა საგადასახადო ხარჯი	7748
მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯი	16863
მოხმარებული სასმელი წყლის ხარჯი	416
საბანკო მომსახურების ხარჯი	1793
მწყობრიდან გამოსული და მიმდინარე რემონტებზე გაწეული ხარჯი	74
შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტი	226
საღებავების წარმოებაში მანქანა-დანადგარების რემონტი	3716
სოციალური დანარიცხები	639
ავტორანსპორტისა და სპეცტექნიკის რემონტი	1347
დაცვის სამსახურის მომსახურების ხარჯი	1017
სხვა საერთო ხარჯი	3419

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

შპს „ლიტოფონი 2012“-ის დირექტორი

ვალერი მანჯგალაძე